ნიანგი

8 აპრილი 1990

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯოდიები

* * *

„ლოზუნგების ქვეყანა“
ტაშით შემოვიარეთ!..
„კომუნიზმში შევალთო!“ —
რატომ დავიგვიანეთ?!
დავიცალეთ უველაფრით,
როგორც გაზის ბალონი,
ხელში შეგვრჩა ლოზუნგი
და კარაქის ტალონი!..
ეკლესია ვანგრიეთ,
ეშმაკს ვანდეთ სვე-ბედი,
კომუნიზმში ვერა და,
ვერა და ვერ შევედით!
კომუნიზმში შესულან
„ზევით“, კარგა ბანია,
აგარაკებ-„ვოლგები“
ნათ აქვთ, გაგიხარია!
ბალბის კარგ ცხოვრებაზე
ჩამიჩუმიც არ ისმის,
ვერ აგვიშენებია
თურმე სოციალიზმიც!..
ჭერჭერობით, ტრაბაბში
მთელ მსოფლიოს „ვუხურავთ“,
დღემდე მხოლოდ ვაშენეთ
ტუუილების ბუბულა!..

ალალო და მართალო,
მშრომელებო კეთილო.
კომუნიზმში შესვლამდე
არაფერი გეტკინოთ!

* * *

სამ წელს თქვენს
ჯარში ვმსახურობთ.
სამ წელს თქვენს
საზღვრებს ვდარაჯობთ!..
გთხოვთ გვიპასუხოთ:
ჩვენს საზღვრებს
რომ ვდარაჯობდეთ,
არა სჯობს?!

* * *

ისევ მოდიხართ
და არ გვშორდებით,
ისევ ეშვება ლამე!..
არა გვაქვს ხორცი,
უველი, კარაქი
და თქვენ გვიშველით რამეს?!
თუკი გიყვარდით,
თუკი გინდოდით,
რისთვის დაგვჩეხეთ ასე?! „
ვართ ალაკატებით,
ლოზუნგებით და
თქვენი მუქარით სავსე!
ამდენი წელი
თავზე გვაახედხართ,
ამას რად უნდა ფიცი?!
დღეიდან ჩვენს თავს
როგორ ცუშველოთ,
ეს უთქვენოდაც ვიცით!

* * *

ვინა თქვა, თითქოს
პატარა იყოს
ჩვენი სამშობლო,
დიდების ღირსი?!
ოღონდ აქამდე
ვედარ გავიგეთ,
ვისია იგი —
ჩვენი, თუ ხვისი?

ვანო ციწცაძე

* * *

ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია,
მსოფლიოს ხომ მოეფინე
„კომუნიზმის გენია“?
გვქონდა დიდი იმედი
კომუნიზმის სინათლის,
ვინ ვის ხვრეტდა, ვეღარ
ვთქვით,
ისე გვწამდა სიმართლის!
წინ გვიძღოდა პარტია,
არაფერში ვდაობდით!
ვალი გვადევს კისერზე
ახალგაზრდა თაობის!
ვენდობოდით ხუუველას,
ხიხარულით ვღელავდით,
ვერ გავიგეთ ,ვინ იყო
ჩვენი ნაღდი ბელადი!
ვანგრიეთ და ვაშენეთ,
ვაპარტახეთ სამყარო,
მიწა სულ გამოვფიტეთ,
არ დავტოვეთ საყანეც!..
ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია,
კომუნიზმში ვერ შევალთ?
— გარდაქმნა ხომ ჩვენია!

ვალიკო დათუაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. ჯ. ლოლუასი

— გაფიცვის მოწყობა გვინდოდა, მაგრამ სამსახურში კაციშვილი არ დადის!..

უსიხარულო კაპიტალიზმი

პამფლეტი

როცა განუსაზღვრელი ვადით ხახადაბჩენილი ონკანიდან წყლის საამო ჩხრიალი გავიგონე, მთელი თვის ნაგროვებ სარეცხს იმედიანი თვალით გადავხედე და უნებურად გალაკტიონის „უსიყვარულოდ“ გადავაკეთე:

უსიხარულოდ ვერ ვიქნებით ამ ქვეყანაზე,
თუ წყალი არ გვაქვს, არც გათბობა სასიხარულოდ!..

მართლაც, ძნელია ადამიანის ცხოვრება სიხარულის გარეშე! ჩვენი სიცოცხლის ერთფეროვანი დღეები სულ ნატვრა-ნატვრაში მიგრიალებს: ნეტავ რადიატორი შეთბებოდეს, ნეტავ ტალონით შაქარი მაყიდვინა, ნეტავ ბენზინი იქნებოდეს, ნეტავ ავადმყოფისათვის წამალი მაშოვნინა, ნეტავ დენი არ გამოირთვებოდეს!..

აბა, რა შეედრება იმ სიხარულს, სიცოცხლის ბოლოს ბინას რომ მიიღებ და თაბაშირი მარტო ერთ კედელზე კი არა, მთლიანად დაგხვდება გადაკრული! მერე მამასისხლად ნაყიდი მასალით რომ გაალამაზებ ბინას, უკვე მეორედ განიცდი ახალმოსახლეობის სიხარულს!

სიხარულისაგან შეიძლება წნევამ დაგარტყას, „მოსკვიჩს“ რომ იყიდი და სიჩქარეთა გადაცემის კოლოფი მაშინვე გამოსაცვლელი არ გაგიხდება, ან „06“-ს „03“-ს ძრავიანს მაინც რომ მოგცემენ და ბაზაში ათას მანეთზე მეტის დამატება აღარ დაგჭირდება! მერე შვებულების წინ ოცდოდ ლიტრ ბენზინს მეზობელი კომბინატორის მანქანიდან შლანგით რომ ამოქაჩავ და პირში საამურ გემოს იგრძნობ, სიხარულისაგან შეიძლება, გაგიჟდეს კაცი! აბა, რა ქნას საცოდავმა კაპიტალისტმა, ნებისმიერ მანქანას ასევე ნებისმიერ დროს რომ შეიძენს და დიდის ამბით მოემსახურებიან ავტოგასამართ სადგურებში, ათასნაირ სუნამოშერეულ ბენზინს ჩაუსხამენ, თავად ბენზინის ესოდენ საამო და სანატრელი სუნი როგორღა შეიგრძნოს?!

თვითმფრინავის სალონში დაგვიანებით რომ შესულხართ და თქვენი ადგილი თავისუფალი დაგხვედრიათ, ხომ ყველას განგიცდიათ ამით გამოწვეული სიხარული?

ისიც ხომ სასიხარულოა, ამ თვეში სულზე რომ თითო საპონი დაგვირიგეს, ისე კი არა, წინა თვეში რომ მხოლოდ ნახევარს გვაძლევდნენ?! აბა, ამერიკელებს რა გაახარებთ ამ დროს, როცა ათასნაირი ფხვნილებითა და სურნელოვანი საპნებით სავსეა მათი მაღაზიები და ვერც კი ამოურჩევიათ, რომელი იყიდონ?! ან კიდევ, სასიხარულო არაა, აფთიაქში ნაცნობი ფარმაცევტი დახლს ქვეშიდან რომ მკბენარის საწინააღმდეგო წამალს გადმოგაწოდებს მაშინ, როცა საცოდავ კაპიტალისტს ერთხელაც არ გაუჩნდება თმისაკენ ხელის წაღების სურვილი და თავის დღეში ვერ იგრძნობს თავის მოქექვით გამოწვეულ სიამოვნებას! ჰოდა, ამიტომაც არის, ჩემო ბატონო, რომ ისინი მაღალი წნევითა და ინფარქტებით იღუპებიან (მე შენ გეტყვი, ჩვენსავით „უფასო“ მკურნალობის სიხარული არ გამოცადონ!). ჩვენთან კი სისხლის წნევას ამ ბოლოს მკბენარი არეგულირებს!..

ჩვენ ჯერ კიდევ ოცი წლის წინ გვითხრეს: **„ჰორიზონტზე კომუნიზმი მოჩანსო“**, და სიხარულმა ლამის კოლექტიური ინფარქტი დაგვმართა! საცოდავ ამერიკის პრეზიდენტებს კი დღემდე ვერ მოუხერხებიათ თავიანთი ხალხის გახარება ასეთი გულუხვი დაპირების თუნდაც ერთი პროცენტით!..

ეჰ, საცოდავი კაპიტალისტები! ოდესმე თუ მაინც იქნებათ შესაძლებლობა, განიცადონ ჭეშმარიტი სიხარული?! მაგრამ კაპიტალიზმი ხომ სოციალიზმის წინადღეა, ჰოდა, კაპიტალისტებიც მოუთმენლად ელიან სოციალიზმის გათენებას, რათა ერთხელ მაინც გამოსცადონ შაქრის, ყველის, კარაქის, საპნის, ბენზინის ტალონებით შეძენის უსაზღვრო სიხარული და **„გლასნოსტისა“** და **„პერესტროიკის“** ბედნიერება!

ახლა კი ჩვენში დღემდე არსებულ კაპიტალიზმის დახასიათებას — **„მომაკვდავი“**, **„მიხრწნილი“**, **„ლპობადი“**, **„პარაზიტული“**, **„დამყაყებული“** — კიდევ ერთი ტერმინი უნდა მივუმატო: **„უსიხარულო“**!

ამ ერთხელაც მაპატიოს დიდმა გალაკტიონმა:
„მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი...“

აქ კი ბოდიში, ბატონო გალაკტიონ, ეს „სიხარულები“ სრულიადაც არაა ჩვენთვის უკანასკნელი! კიდევ მრავალ ასეთ „სიხარულებს“ მოველით, რადგან:

უსიხარულოდ არ არსებობს ჩვენი ცხოვრება,
არც კომუნიზმი არ არსებობს... საბედნიეროდ!

გაგო ხვედელიძე,
ხაჩხერის რაიონის სოფელ ბაჯითის არასრული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

ყვავი ვახტანგის ოცვლილება

სოფელში კაცს ავტომობილი დაეჯახა, ასფალტზე ათრია, ერთიანად გადაუხეხა თუ წარუხოცა სახე!.. მიცვალებულს ვეღარ იცნობდით!.. თანაც სიბნელე იყო. ხალხი მოგროვდა. ვიღაცამ თავში იტაცა ხელები:

— ეს ხომ ჩვენი სონკაა?!

— ჰო, ჰო, სონკაა, უბედური! — დაემოწმნენ თანასოფლელები.

მილიციაც გამოჩნდა. თავი მოიკლეს ჭირისუფლებმა და მიცვალებული მორგში არ გაატანეს!..

— დაგვანებეთ თავი, შვილოსან, მიცვალებული დაგვანებეთ, დაგვანებეთ სონკაი! უნდა გამოფატროთ? რაღა ექიმი უნდა, მოკვდა კაცი და ეგ არის, ჩვენ მოვუვლით, თქვენ ი ავტომობილი მოძებნეთ, თუ შეგიძლიათ!

ციმციმ წაასვენეს სახლში სონკა. ერთიანად სისხლში იყო ამოთხვრილი. მეზობლის დედაკაცებიც გაჩნდნენ. ატყდა წიოკი და ერთი უშველებელი. გახადეს მიცვალებულს, გაბანეს და გააპატიოსნეს, ყველაზე უკეთესი ტანისამოსიც გამოჩხრიკეს კარადიდან, ჩაცვეს და ტახტზე დაასვენეს. სახეზე სველი ტილო დაიფარეს. ჯამიც გაჩნდა დარკვეული ხორბლით და თაფლის სანთელიც აციმციმეს, სონკას ძმა შორიდან შეყურებდა, შეყურებდა და გული უკვდებოდა, რაღაცის თქმა უნდოდა და ვეღარ გაებედა. ბოლოს ამოღერღა მაინც:

— ხალხო, ამ კაცს გულზე არწივი ახატია! ჩემს ძმას გულზე არწივი არ ეხატა, არა და არა! რა, სიბერეში დაიხატა ნაკოლკები?!

რძალმა წუთით იყუჩა. მოთქმა გააჩერა. თავისთვის კი იფიქრა წამით: „სონკაა, აბა, ვინ არის?! მე მასწავლიან ჩემს სონკასა?! რა, არწივი, რის არწივი ქაა?! ბინდი გადაეკრა ჩემს მაზლსა, გადაეკრა ნამდვილადა, ბინდი კი არა, ლიბრი, ეგრე იცის მწუხარებამა!“

სონკა რას იტყოდა?! — იწვა წახოცილი სახითა. ჭირისუფლებს მეზობლის ქალი შემოემატა, ცოტა გვიან გაეგო, მოთქმით შემოიჭრა, აკრიახდა, დაემხო სონკასა:

— შე საცოდავო სონკა, რატომ გამოგვეცალე ხელიდან, რას ეუბნები შენს ცოლშვილსა, მეზობლებსა, ნათესავებსა?! შენ გეუბნები, სონკა, გვითხარი რამე!

სონკა რას იტყოდა?! — იწვა და იწვა!.. მოგროვდა და მოგროვდა ხალხი. ლონგინოზაც შემოფლახუნდა. ოთახი ჟიპიტაურის სუნით გაიჟღინთა!..

— რა ამბავია, ხალხო? — იკითხა ლონგინოზამა.

— რაღა რაი, — ტირილიანი სიმღერა გააბა ოლღამა, — სონკა გამოგვეცალა ხელიდან!

— რას ამბობ, დედაკაცო?! სონკა მე ხილის პუნქტში დავტოვე, ერთადა ვსვამდით! გამოვეპარე!.. ხომ იცით, თირკლები მაწუხებს!.. სონკა თამადაა!

ხალხი გატვრინდა.

— რას მიედ-მოედები, დაფეხვილო! — შეუძახეს ლონგინოზას, სული რომ მოითქვეს.

— არა გჯერათ?! წამოდით პუნქტშია! ვისა ტირიხართ?! სონკა ცოცხალია-მეთქი!

მეზობლები წამოყელყელავდნენ:

— წავიდეთ!

ხილის პუნქტი სულ ახლოს იყო. ოციოდე წუთში ალაყაფის კარებთან იდგნენ. საყარაულოდან შუქი გამოდიოდა.

— ჰეი, სონკა! — წინ წადგა დაფეხვილი.

კარები გაიღო. სონკამ გრძელი ცხვირი გამოჰყო.

— შენა ხარ, ჩლახო? რო გაიპარე, სად გაიპარე? ხომ იცი, არ დაგილევია წასულებისა!.. შემოეტიე!

იცნეს სონკა. იცნეს და ცივი წყალი გადაესხათ, გაირინდნენ. ისევ ლონგინოზამ იმარჯვა:

— შენ თვითონ გამოეტიე, იქ, შენ სახლში დალიე შენი შესანდობარი!

— რას მიედ-მოედები, დაფეხვილო?!

— რა, არ გაგიგია, რომ მოკვდი?!

— ვინ მოკვდა?! შენი პატრონის დედა!..

— წამოდი-მეთქი, გამოეტიე, გზაში გეტყვი დანარჩენს!

წინ გამოიგდეს სონკა. თავის სახლს რომ მიუახლოვდნენ, შეკრთა, წივილ-კივილი მოისმოდა. გამწარებულმა მარგილი ამოგლიჯა ლობიდანა, რცხილის მარგილი, ასე შეიჭრა სახლში.

— რა ამბავია აქა?! ვინ მოკვდა, დედაკაცო?!

ერთი ამოხედა ცოლმა ქმარსა და გული წაუვიდა!.. ვიღაცა ექიმთან აფრინეს. ძლივს მოაბრუნეს. მოიხედა დედაკაცმა და სლუკუნ-სლუკუნით, ბატბუტივით ამოყარა ჩახრინწული ყელიდან ხორკლიანი სიტყვები:

— შენ მეგონე, კაცო!

ახლოს მივიდა სონკა მიცვალებულთან. მარგილი ისევ მაგრად ეჭირა მარცხენა ხელში. სველი ტილო გადახადა, მერე გულზე დაკრეფილ ხელებზე შეაჩერა მზერა. არაყი ძალაობდა, მაგრამ სონკა არ ეპუებოდა. მარჯვენა ხელის თითებზე ბატიფეხურად ეწერა მიცვალებულს: „1931“. სადღაც სიცილი გაერია ტირილს, მოგუდული სიცილი. მიცვალებული მიცვალებულია, მაგრამ გულში ეცინებოდათ, ეცინებოდათ და თავს ვეღარ იკავებდნენ. მილიციაც გამოჩნდა.

— დედაკაცო, ამას თითებზე უყურებ? დაბადების წელი თუ აწერია 1931, მე რომელ წელში ვარ დაბადებული? 1930 წელშია! ამაზე მაინც ვერ მიცანი?!

სონკას ძმა წინ წადგა:

— ჰოდა, ეგრეა, არ დამიჯერეს, სონკა! ის კი არა, მაგ კაცს გულზე არწივიც ახატია!

— არწივიო?! კიდევ რა ახატია?!

— რა ვიცი, ჩემო ძმაო, არ დამიჯერეს, შენმა დედაკაცმაც არ დამიჯერა!

ოლღამ მოთქმა შეწყვიტა. გულმა რეჩხი უყო: „ქა, არწივი ხომ ჩემს ნიკუშას ახატია, ჰო, ნიკუშას! თითებზეც დაბადების წელი აწერია!.. ღმერთო, დამიფარე!

მილიციის კაპიტანი წინ წადგა:

— ავტომობილი დავაკავეთ, ეგ კაცი სონკა რომ არ არის, დავაზუსტეთ!.. ეგ კაცი ნიკუშაა, თქვენი მეზობელი!

ახლა ოლღა გადაეარდა გულწასული. ისევ დატრიალდა ექიმი.

მეტი რაღა გზა იყო: ნიკუშაა სონკას შარვალ-კოსტიუმში გახადეს და დედიშობილა გადაასვენეს თავის სახლში. სისხლიანი ტანისამოსი წაიღეს.

ზოგიერთებმა ჩაიქირქილეს: „გულმა თუ გაუგო ოლღას, მოთქმით რო ტიროდა მეზობლის ქმარსა, არადა თავისი ქმარი ყოფილა! ემანდ არ შეეშალოთ კიდე, სხვისი ქმარი არ იყოს, ეშმაკი წყლისფერია!“

აღარ შეშლიათ. ნამდვილად ნიკუშა იყო მიცვალებული, გულზე რო არწივი ეხატა.

ასე იცის მწუხარებამ. რაღაც იმნაირს გამოურევს, რომ გაგაცინებს, გულში მაინც გაგაცინებს, ბევრიც რომ ეცადო, ვერ წაუხვალ განგებასა! ტყუპისცალები თუ არიან სიცილი და ტირილი! რომელია უფროსი, ღმერთმა თუ იცის!

გეგლარ ნოზაძე

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

ფორმალები ვიწამო, თუ...

გუშინ ძველი მეგობარი
ბაღთან შემხვდა, მიხა,
შემკრთალმა და სევდიანმა
შეშფოთებით მკითხა:

„თუ კაცი ხარ, ეს გარდაქმნა
გაგრძელდება დიდხანს?
რა ვქნა, ველარ ავუდივარ
გაზეთების კითხვას!

— „წინ, წინ, მედგრად!“ — გვიხმობს ყველა,
ხელში კალმის შუბით
(გაზეთების წარლვნა არის,
გაზეთების ბუმი!).

პრობლემები, პრობლემები!..
სულ განგაში ისმის,
გახლეჩილი ვარ შუაზე
მე ამ პლურალიზმით!

ერთი ალთას მექაჩება,
მეორე კი ბალთას,
თავს და ბოლოს ვერ გაუგებ
ტყუილსა და მართალს!

იცოცხლე და, იმედებსაც
გვირიგებენ უხვად,
გვაქეზებენ, მოგვყვებით,
ვაჟკაცები თუ ხართ!

გაქრა ძველი ხანა ძმობის,
ნდობის, პატიების!..
როგორც სოკო ნაწვიმარზე,
ჩნდება პარტიები!..

ხან თუ ვხარობ, ხანაც წუთი
მიპყრობს მწყრომარების,
აღარ ვიცი, სანამ ვიდგე
ჩრდილში მოფარებით,
ფორმალები ვიწამო თუ
არაფორმალები?!.“

ცოტა სული მოითქვა და
წარბშეკრულმა მკითხა:
— „აიდგილარს“ რა აშფოთებს
ან „ადამონ ნიხასს“?!
მტრობა-შუღლის მოქადაგე
ვერ დაიდგამს „ჯილას“!

შევუძახე: „მართალი ხარ,
დასტურ, ჩემო მიხა,
დღეს ეგ შენი სატკივარი
არ აწუხებს ვილას?!

გარდაქმნის „ტემპს“ როცა ვხედავ,
აზრი გამკრავს ფიქრად, —
უცებ ანგელოზებადა
იქნებ გარდავიქმნათ?

გაქრეს ყველა ჩვენი ზადი,
რაიც გვჭირდა გუშინ, —
კაცი უცხო მიღმეთელ კაცს
იხუტებდეს გულში,
დიდი ერი თავსა დებდეს
მცირეს სიყვარულში!

დიდმპყრობელი ღვრიდეს გულწრფელ
სინანულის ცრემლებს,
ჰგმოს „წარსული“, მოგვაყუდნოს
თავი ჩვენი ჩვენვე!

იყოს ციდან სხივთა ბარდნა
და ყვავილთა თოვა!..
მაგრამ ჟამი სანატრელი
განა ასე მოვა?!

ამირან მიქაუტაძე.
(ქ. სოხუმი).

ფრაზები

● **თუ** სისულელეს ლაპარაკობ, ბევრს იტყვი თუ ცოტას, სულ ერთია. დაფიქრება მაშინ გმართებს, როცა ჭკვიანურს ამბობ!

● **რაც** უფრო მეტი იცი, ეცადე, უფრო ჩუმად იყო!

● **ბევრი** ჭკვიანი სულელის როლს თამაშობს, რათა ნაკლები მტერი ჰყავდეს.

● **ვისაც** თავის საქებარი არაფერი აქვს, იგი სხვის საძინებელს მეტს პოულობს.

● **როცა** მეორე ნახევარს ირჩევ, გახსოვდეს, რომ ის სანამყენე ჯიშია შენი შთამომავლობისათვის!

● **ერთსა** და იმავე საგანს თუ ორნი ჭრით, არ გამოიყენოთ ანდაზა: „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი!“ იქნებ ერთ-ერთმა თქვენთაგანმა 99-ჯერ გაზომეთ?

● **ეკოლოგია** მეცნიერებაა, რომელზედაც წინა საუკუნეში უნდა გვეფიქრა.

● **მაიმუნი** მოაზროვნე ადამიანი არ არის, არ ერჩის ბუნებას, არაფერს აბრალებს წინაპარს და არ ავრცელებს ჭორს.

● **ქსოვა** ნერვების დამაწყნარებელი საშუალებაა, როგორც კი თავს დაანებებ, დამშვიდდები!

იზო გასილია

ნახ. ჯ. ლოლუასი

— რატომ დადის სკამიანად?!
— დაკარგვის ეშინია!..

დიდების ჭია

ყველას გვამშია დიდების ჭია,
სხეულისმხვეველია ბეჭრისაც ის ოხერი,
ხან აკეკინებს აკი-ბაკიას,
ხან ითხუნება ფერით თუ ხვერით!..
ხან საკარძლიდან შეგვიცოცდება, —
სკამი ბეერისთვის არის კარტლუბეკი, —
რაც მეირე ნიკი ამლიას ოცერბას,
ჭიის ბინ უფრო აქვს ჭკვიანესო ყბებით!
ეერაკვნა ჭიან (ვის რა ეგრეს).
საღეკვე დაგვიერნეს ატან-ატიმად,
გადაგვავიწყა „ამბანაგო!" და
ისევ „ბატონო!" გავეხატონეს..
ცხოვრების სკამი უფუფუტებს ყველს,
ყველი ცხოვრების მეკრიე ქაფია!..
უბედურება ისაა, როცა
სულში დიდების ყველეშაპია.
ცხრათავიანი ყველეშაპია!..
ის ხან ჩინ-მედლის ჯეშანში ჯდება,
ხან უკვდავების ტაეიან უნიფენს,
სხვის თითს გამოსაჭრაც სასხლეტს და მერე
ცრუ პროკურათაც მიაღწევს მიზნებს!..
ადამიანო, ოეავ ფხიზ

დ.
ოავს ნე წაუდერ თაბაშ-თაბაშით,
სანამ ვეშაპად გადაქცევდეს.
შენს სულში ჭია მოშანთავ მაშით.

სოსო მაჭარაშვილი
(ჟ. სანზერე)



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

„საქართველოს ტოტალიზატორი"

დიახ, დიახ, დაუჯერეთ მრავალტირაჟიანი და იაფფასიანი ჟურნალგაზეთების კითხვით გადადელილ თქვენს თავლებს! სწორედ ასეთი სპეციური გამოდის მხურვალე გულის, ნათელი გონების და ძლიერი ფეხების მქონე ხელანური, სატირულ-იუმორისტული გაზეთი „საქართველოს ტოტალიზატორი". ამ გაზეთის ფეხებია „ქართველების ყველა ქვეყნისა, შეეუწყნიდით!" ტირაჟი — ერთი ცალი, პერიოდულობა — გაზეთი გამოდის ხოშის მიხედვით — ჰა, ჰა, თვეში ერთხელ; რედაქციგალაშია ყველა, ვისაც აქვს იუმორის გრძნობა, იცის ქართული ენა და ვისაც ისე ძალიან უყვარს საკუთარი თავი, რომ დაიენვა უხდება კიდევაც. პორნორარი უკითხავად გადაეცემა ყველა გულლრძოს, გონებაჩლუნგს, გაუღიარს, გაულიმარს!.. გაზეთის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი რედაქტორი ჯერ არ დაუპატიმრებიათ, არ უგინებიათ და არც ერთი ნომერი თავზე მისთვის არ გადაუფურნნიათ. „საქართველოს ტოტალიზატორ" ედილობს თავის ფურცლებზე და თავისებურად ასახოს ჩვენი ცხოვრების საგლიგ-სამხიარულო ამბები.

დარო მეთხუკეის სამსაგვრეროზე გამოგვაქვს „საქართველოს ტოტალიზატორ" ყველაზე სუსტი ნომერი.

1. რედაქტორის სვეტი: MEMENTO HOMO QUIA PULVIST EST!

დიახ, არ დაგაენენყდეს ადამიანო, რა ხარ! ჩვენ კი დაეუშატედით — რა იყავი და რა იქნები! ბევრი ტრიალებენ საფლაზეში, უფრო მეტნი მიწის ზეიდან, მაგრამ მხოლოდ ერთეულს უგვიენ მაეზოლეუმებს, ერთეულს აძლევენ უფლებას, ათეული მათი საფეხურები. სამაგიეროდ უთვალაენი არიან ამ ერთეულების ბარდნი და აშუენი. ისინი თვალმეუხუჭავად იღნიდადგებიან „მამებზე" ზრუნვაში. მათ შორის არიან არაკანონიერები და ქართველებიც. ერთგულების გამომსახველობითი სამუდამოებების ბრწყინალიე ეპოქების რაოდენობის პირდაპირპროპორციულია. დანდებული გულსადამოუოკავი ბაიათებიდან, გამადებული ჩქეელობებიან!.. მაგამ რა უფრთხ აბა, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ შეეხვალ ისტორიაში — ტაძრის გადაწვეთ თუ სამშობლოს ერგიენებით?! ეოდა, დასტერის საქართველო თავის ერთგულ შვილებს და გაორეულ ერუულებსაც! ალბარა კმარა?! ბეოდეს ჩვენ უნდა გაეურჩინოთ, მაგალითარდენი ჩვენ უნდა გავეუზარდოთ, ოჰი ჩვენ უნდა მოეგებინოთ, უმიშრობის კომიტეტი და საგარეო საქმეები ჩვენ უნდა ჩამოუფალიმ-მოეკენსრიოგოთ და კიდევ ჩვენ უნდა გვლანძღოთ?! არა უშავს! მძლავრი მუზა ნელში ტყდება, დაბალი ბალახი კი ყოველთვის იმართებას ღმერთმა ბქნას, სულ სხვისი ქირიასუფლები ვიყოთ! სამოქალაქო პანაშვიდებზე და ხალხმრავალ ქეღეებებშიაც ბევრნი, თანაც ნიანგის ცრემლიც ბევრი გვეფრქვეოოს!

2. რუბრიკა: „სმენა, საქართველოვ!" — სუფთაობა მოიზვენებიეთი და რავლური

იყოდება საქართველო! ინრრტება საქართველო თავისი მშვენიერი ქალეაებით! ჩვენს კაცებს ტკენი დაებინდდათ, თვალები დაუბნეულდათ და დატანტალებენენ ჩვენი ქალწულების უაზროოდ, უქმაროშვილოდ, უმაზლდედამოილოდ, სამაგიეროდ ფროს არა ჯკარგავენ მაგანნი. გამოკარავენ ელანჭს სიყვარულს მონატრებულ ჩვენს მანდილოსნებს და მერე გვიბარია, ხუან კარლოსი, გური თუ ზაღდასტანი ქართველები არიანო! რად გვინდა მეორე?! თამარ მეფე უცხოელს რომ ჩაეგბარეთ, გამოგვადგა რამეში?! არც ქალები არიან მთლად სუფთანი ამ საქმეში. ათი წლის ნაცნობ-ამხანაგოს-მეგობრობის შემდეგ ვინმე ქართველი აბდალი თუ ბეგს სთხოოს, ფეხებს ფშაკავენ: ეს დაბალიაო, ეს ნამეტნაკი ბანუგგალიანიაო, ეს უცირფეხვიოოო!.. თქვე დალოცვილებო, სწორედ ეგეიეს უნდა გაუგეთ, თორემ ალენ დელლს რად უნდა ცოლი? გონს მოეეთო, სანამ ევიან ეს ქვეყანა! დაბუჭეთ თვალი რაღაც-რაღაცეებზე! ჩაინიეთ შარეული და ანინეთ ეაბები, თორემ ყველას ეორდანიის ინსტიტუტში გიარეთო თავსა! ამრნეთ მერე შვილები კოლტეიდანაა!..

3. რუბრიკა: „ეკონომიკების საგამოცანი" — საბჭოთა ტაქნიკის ახალი ნარმოებები

ა ი ბ ო მ რ ა ვ ა ლ ჯ ე ო ბ ა ი გამოყენების კოსმოსური ხომალდი „ქარბუქი", რომელმაც ორბიტაზე უნდა გაიტანოს და ქარბუქს გაატანოს ასობით ტონა სასარგებლო ტვირთი. იგი დედამიწას მოიშორებს ადვილადფუძებად პრობლემას, რათა ის ჩვენს ქვეყანაში არ დალეს და არ ბეკვიოოوو

4. რუბრიკა: „სიასლეებიის აიიდო" — „ჯგანეიდი" მეთვალეინსაკენ!

ცენტრალური ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ი ს გადაცემამ რომ არ ეწყინოს და ხელმეორე არ გამოგვლინანდოს, ჩვენი მზერა რუსეთისაკენ კი არა, მთაწმინდისაკენ მიეპაყრო! საქმე ისაა, რომ თბილისელი მოქალაქე დ. დ. მთაწმინდაზე გადაწყდა მფრინავ თეფშს. მრავალი მოკითხვის, შამპანურების ბაოძკბუძქისა და ხვეენა-ალერსის შემდეგ დ. დ-მ და უეხოლანტენელმა გაცვალეს სამკერდე ნიშნები მისამართებიური. ახლახანს დ. დ-მ მიიღო დამორებული ვიზა და მთელი „ოვირი", ბანკი თუ სასახლური კონტროული მოუთმენლად ელიან, რომ ფულ დაელოდაეენ დ. დ-ს გზას ეოსმოსისაკენ!

5. რუბრიკა: „კულტურის ამბავი" — ქართველი რეგბელ!

ხალხის მ ტ რ ე ბ ი ს გალერეას შემეამა კიდევ ერთი დამშეარალი — ქართველი რემბო, არარსებული ოლეანშინ და ღვინის ყლურწვა-სმით სახელგანოქმული ქართველი რემბო! როგორც არტურ რემბო ტტყოინიტება, მან უშუალო მონაწილეობა მიიღო კუბის დაჭრეულნაში, ეორეის გაყოფაში, ავდანეთის ანიოკეპაში, ფერგანის სისხლით მორწყვაში!.. საკადესის ტნობით მან ბოლოს სულ დაპკარგა სინდის-ნამუსი და მიუხედავად რუსი ჯარისკაცების თავგანწირული ნინაალმდგომისა, თანამიმეე ქართველების სისხლიე დაღვრა!.. ქართველი რემბო კაეშიში ყოფილა ლუჩანო ლიგიოსთან, სალვატორე ფერერასთან და, რაც მთავარია, ვინმე რუსთაველთან, ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მაგიოზოსთან. რუსეთმა რუსთაველი საერთაშორისო მასშტაბის პოორტმოქმედად გამოაცხადა და ახლა გულდასმით დაეძებს მის მოგეგარე ქართველებს თვით საქართველოში!

6. რუბრიკა: „სპორტი"

დიდ ნ ა რ მ ა ტ ე ბ ა ს მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ფეხოსანერთა გაზეთის სარეფაქეიო კოლეგიის წარმომადგენელმა მ. მ-მ. მან 4 ნუოსა და 12 ნამში ლაპარაკით ბაიამო ორი მუხა, სამი ალვის ხე, ერთი სოკო და უამრავი ყვავილი. მეორე და დანარჩენ ადგილებზე მეორე სარეფოლის ოთახები გავიდნენ.

დავით დემეტრაშვილი

ილუსტრაციები მ. აბაშიძისა

მედროვე კაცის იუგილე

უხდიან ვარდენს იუბილეს,
საკარიელ ვარდენით ამკობენ..
საკაბშმიდ ილესავენ ტრილეს:
— „დიდი კაციაო!" — ეტყვიენ.

და ისმის ქებანი სალოცავი,
მედროვე ელეკნელთა ენენელნი:
— „ხელმძღვანელია საოცარი!.."
— „ეთამდა სხვა ორენ ყველგელის!..
— „სწავლულს ეკეთილს ვერ ამოვთო!.."
ჩალა ოჭრის ფასად საღდება,
ქება — უაზრო, ხმა — ლიტონი
მიერთიფიზმი უფრო ეალსდება!..

უმიზნოდ კაცი ვის უქია,
თუ არა მედროვე თამხარებს?!.
— „აკეცა. ადამიანნ?! რას მაქვიან!" —
ილია გვანდეკრს და გკეფრთხილებს.

...უხდიან ვარდენს იუბილეს,
საკარიელ ვარდენით ამკობენ!..
საკაბშმიდ ილესავენ ტრილეს,
— „ბრძენი კაციაო!" — ამბობენ.

ნოდარ მაჭარაძე



ნახ. ნ. ხოდელისა

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამწერალთა მოგონებანი

საიუბილეო ბუმერანგი

...და რა მოაწია ჩემმა პირველმა საიუბილეო ასაკმა, ვახსენე ღმერთი, იქვე გავიხსენე სიბერძნე რუსთაველისა — სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარიო, და ვაწვიე სათათბიროდ კაცი ვინმე, მრავალგზის ნაიუბილარი და ამოდ მოუბარი.

ასაკის გარდა რა გაქვსო საიუბილეო, — მკითხა, — ყურადღებით მომისმინა და ბოლოს დაასკვნა:

— ერთობ უფერული იუბილე გამოგივა, ლექსები და წერილები, გამოქვეყნებული რაიონულ გაზეთებში, რა ამინდს შეგიქმნის, ან თუნდაც ჟურნალებში დაბეჭდილი მოთხრობები და კრიტიკულ-მემუარული წერილები?!.

— წიგნები?!. წიგნებიც მაქვს გამოცემული! — შევძახე მოუთმენლად.

— ვერც წიგნები გიშველის! ბუმერანგი დაგჭირდება! — მომიგო მშვიდად.

— კი მაგრამ... ბუმერანგი რაში უნდა გამოვიყენო?!

— ჩვეულებრივზე კი არა, საიუბილეო ბუმერანგზე მოგახსენებ. საერთოდ, ბუმერანგის ორი სახეობა არსებობს: ერთს გაისვრი — დაკარგავ, მეორეს გატყორცნი და უკან დაგიბრუნდება. ხოლო საიუბილეო ბუმერანგი, თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, გადიდებული გიბრუნდება უკან, თანაც დაფნის გვირგვინის ფორმას ღებულობს. მას ხელით ვეღარ დაიჭერ, თავი უნდა შეაგებო!.. ერთი სიტყვით, განცხადება უნდა დაწერო მწერალთა კავშირის გამგეობის სახელზე და დაწვრილებით მოიხსენიო, რაც დაგიწერია და რის დაწერასაც აპირებ, ოღონდ მასშტაბებში უნდა გაადიდო, დიდი ხანი არ გაივლის, რომ შენი განცხადება მწერალთა კავშირის გამგეობის მისალმებად გაზეთში დაბეჭდილი და საკმაოდ გავრცობილ-გადიდებული დაგიბრუნდება!

უსიტყვოდ

რჩევა ჭკუაში დამიჯდა, მაშინვე პირადი არქივი ამოვქექე, სიძველისაგან გადახუნებული და თეთრ ლექსებად ქცეული ნაწერები განცხადებაში მოქალაქეობრივი ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშებად მოვიხსენიე, რაიონულ გაზეთებში გამოქვეყნებული წვრილ-წვრილი წერილები ესეებად მოვნათლე. ჟურნალებში დაბეჭდილ ცალფა ლექსებსაც მოვუძებნე შესაფერისი ტერმინები: ზოგს ლირიკული აპასიონატა დავარქვი, ზოგს — მინორულ-მაჟორული სონეტი, ზოგს— ნოქტიურნი, ვრცელი მოთხრობები კი რომანებად გამოვაცხადე. სულ ბოლოს შორეულ მეგობრებთან რუსულ და სხვა ენებზე მიწერილი წერილებიც ამოვჩხრიკე და ეპისტოლეებად მოვიხსენიე.

გავგზავნე განცხადება და პასუხს დაველოდე. ცდა დიდხანს არ დამჭირვებია, ერთხელაც გავშალე გაზეთი და ჩემმა სურათმა შემომანათა თვალები, ქვეშ კი შავი პეტიტით იყო აწყობილი მისალმების ტექსტი:

„ძვირფასო მამონტ მამონას ძევ! საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა მოგესალმებით თქვენ — გამოჩენილ მწერალსა და მამულიშვილს და გილოცავთ სახელოვან იუბილეს! თქვენს მიერ შექმნილი ლირიკული ლექსების ციკლი „ეკვატორიდან პოლუსამდე“ მართლაც რომ ტროპიკული მგზნებარებით არის დაწერილი და ამასთან მათში ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის სიმშვიდე და სიღრმე იგრძნობა.

თქვენი შესანიშნავი ესეები, რომლებიც თავიდანვე გულთან მიიტანა ფართო მკითხველმა და ასე დააქვს დღემდე, ჩვენი მწერლობის კრიტიკული აზროვნების მნიშვნელოვანი შენაძენია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიჭიერებით მირონცხებული, ღვლარჭნილი სტილით დაწერილი თქვენი დიდებული რომანები „კამეჩის ტყავი“, — ბლაგვკუთხა სამკუთხედი“ და „ლურჯწამწამება მზეთუნახავი“, რომლებიც სამაგიდო წიგნებად იქცა.

მსოფლიო აღიარება მოგიტანათ თქვენ, როგორც ღრმად ერუდირებულსა და ნიჭიერ მწერალს, ბესტსელერის დონეზე დაწერილმა რომან-დილოგიამ „აეროდრომმა“, რომლის პირველი წიგნი „ჩემოდანი „ნაკლეიკებით“ ამ ათიოდე წლის წინ გამოიცა და რესპუბლიკაში ჩატარებულ წიგნის ორთვიურებზე ძალდატანებით დაიტაცა მკითხველმა, ხოლო მეორე წიგნი „მფრინავი კავკასიელი“ უფრო მოგვიანებით გამართულ წიგნის ოთხთვიურებზე ხელის კვრითა და ზედ მიგდებით გაითავისა ფართო მკითხველმა.

ჩვენი ეროვნული ელიტის მხატვრული და მეცნიერული აზროვნების საგანძურში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი თქვენმა ფილოსოფიურ-ფიზიოლოგიურმა პოემებმა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მრავალპლანიანი პოემები „ფლავისმჭამელი“ და „კვერნისტყაოსანი“.

თქვენი შემოქმედების ბოლო წლების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მემუარული ხასიათის ქრონიკა „მამაჩემი — მეცენატი, მეურვე და ჩამწყობი“, აგრეთვე ეპისტოლარული ჟანრის ნაწერები, რომლებიც მსოფლიოს ხალხთა ენებზეა თარგმნილი.

მწერალთა კავშირის გამგეობა უერთდება თქვენი უბადლო ნიჭის მილიონობით თაყვანისმცემელს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს მამულისა და ხალხის საკეთილდღეოდ“.

გაზეთში წაკითხული ბევრმა დაწესებულებამ და კერძო პირმა თავისებურად გადაამღერა, გაშალა და მოლოცვის წერილებად აქცია.

საბოლოოდ ყოველივე ამან დაფნის გვირგვინის ფორმა მიიღო და საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში საკარცხულში მჯდომს კისერზე ჩამომეკიდა. ასე შევედი იუბილეების ზონაში, საიდანაც დღემდე არ გამოვსულვარ და ვერც სიკვდილის შემდეგ გამომიყვანენ!

ნამწერლარის მოგონება ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და აზრობრივი ლაფსუსებისაგან გაასუფთავა და მისი დაბეჭდვა ითავა მერაბ ელგუჯაურმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. კუციასი



— არ დაიჯერებ: კაშპიროვსკის მესამე სეანსის შემდეგ ყველა ნაკერი გამიქრა!..

მიზეზები

გახშირდა ერთმანეთისათვის თავზე ბოთლის გადამტვრევის შემთხვევები!

მიზეზი? — ბოთლებს მაინც არავინ იბარებს!

* * *

დინოზავრები გადაშენდნენ!

მიზეზი? — ქ. თბილისის დიეტური სასადილოების კერძებით იკვებებოდნენ!

* * *

საწყობის გამგეს ფართოკარიანი საკანი გამოუყვეს!

მიზეზი? — ისე გასუქდა, რომ სახლის კარში ვერ ეტეოდა!

* * *

რედაქციაში ხაჩივარი შევიდა!

მიზეზი? — სახლმმართველის ყურში არ შევიდა!

შედეგები

„ისნის“ ფაბრიკამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა!

შედეგი? — დახლები ჩაინგრა!

* * *

ხულიგანს წესრიგისაკენ მოუწოდა!

შედეგი? — ექიმმა დახმარების ხელი გაუწოდა!

* * *

ჩამოხახხმელ ლუდში ნახევარზე მეტი... ლუდი არ არის!

შედეგი? — სასმელი წყლის ხარჯვის მიხედვით, თბილისი პირველ ადგილზეა მსოფლიოში!

* * *

ადამიანმა ექვსი ხე მოჭრა, ქაღალდი დაამზადა და ზედ დაწერა კანონი ტყის ხელშეუხებლობის შესახებ!

შედეგი? — სამი ხე გადარჩა!

* * *

კომბინატორმა ნული ხუთზე გაამრავლა.

შედეგი? — ღმერთმა იცის!

დიალოგები

დაიცათ, დაიცათ, მეგობარო! ეს ხომ ჩემი ჯიბეა?!

— ვა, მართლაა? ! მადლობა ღმერთს, მეც არა ვთქვი, გამქურდეს-მეთქი!

— როგორ, ნუთუ შიგ ფული არა დევს?!

— დედას გეფიცებით, ცარიელია!

— აბა, მეორე ჯიბეში ნახეთ!

— ვნახე, იქაც აღარაფერია!

— გულის ჯიბეში?

— იქ მხოლოდ პასპორტია!.. აქ ჩავდივარ!.. აბა, მომავალ ხელფასამდე!..

* * *

გამომცდელი: — თავში თუ აქვს რამე?

— არა, ბატონო, ქუდში აქვს თავი!

* * *

— აკი დამლაგებელმა დაიფიცა, კაბინეტიდან ნაგავი გავიტანეო?

— დირექტორი მაინც შიგა ზის!

თაგვი

ბინაში იგი მარტო ცხოვრობდა.

შუაღამისას ზარის რეკვა შემოესმა. მაშინვე მიხვდა, ვინც იქნებოდა. ფიცხლად წამოხტა და კარი ფართოდ გააღო. ოთახში მუზა შემოვიდა და... ატყდა ქაღალდზე კალმის წრიპინი.

გათენებამდე არ ამოუსუნთქავს. წერას რომ მორჩა, მკვდარივით ჩაეძინა.

რომ გაიღვიძა, ერთი ამოსუნთქვით შექმნილი ადგილზე აღარ დახვდა. მთელი ოთახი გადააქოთა, მაგრამ ამაოდ და უნებლიეთ მწარედ ამოიგმინა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ისევ ეს წყეული თაგვი!.. არ იცოდა, რომ ამ თაგვს სწავლების სპეციალური კურსი ჰქონდა გავლილი და რედაქტორის მიერ სპეციალურად იყო შემოგზავნილი!

გურამ ინასარიძე

რა გზით?..

იუმორესკა

ამჟამად გვინდა შევეხოთ არა ნაწარმოების რომელიმე გმირს, არამედ მის ავტორს. ჩვენ მივეჩვიეთ ლაპარაკს მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ პერსონაჟზე, მაგრამ ხშირად გვავიწყდება, რომ მას ავტორი ჰყავს. არადა, რამდენი რამეა დამოკიდებული ავტორზე. ავტორს შეუძლია შექმნას ესა თუ ის პერსონაჟი, ჩამოაყალიბოს იგი ზნეობრივად და სულიერად. მართალია, გმირს თუ ბუნებამაც არ უშველა, მარტო ავტორი ვერას გახდება, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც ავტორს ეკუთვნის!

ავტორი ღრმად უნდა სწვდებოდეს გმირს სულიერ ნიუანსში. მისთვის უცნობი არ უნდა იყოს პერსონაჟის არც ერთი ნაბიჯი. მეტიც, ის მის გულში უნდა იხედებოდეს!..

ალბათ ყველას წაგვიკითხავს ახლახან გამოსული საკმაოდ გახმაურებული რომანი **„განთიადის მახარობელი“**. ამ ნაწარმოებმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მას საკმაოდ გამოეხმაურა კრიტიკა და ერთხმად იქნა აღიარებული ბოლოდროინდელ ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად.

ბევრი ითქვა ლიტერატურულ კრიტიკაში ამ ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირის **არველოდი ტაბაწყურის** გარშემო. მწერალმა მისი სახით ჩვენი თანამედროვე ადამიანი დახატა მთელი თავისი სულიერი განცდებით. ის მისაბაძი პიროვნებაა — სამართლიანი, კეთილი, ზნეობრივად წმინდა. მეტი რა უნდა დადებით გმირს? მიუხედავად ამისა, ზოგი დეტალი გვაძლევს იმის უფლებას, რომ კრიტიკულად განვეწყოთ ამ დადებითი პერსონაჟის მიმართ.

გადავშალოთ წიგნის 407-ე გვერდი. წავიკითხოთ ბოლოდან მეორე აბზაცი:

„— მომეცით საჩივრისა და წინადადების წიგნი! — გაცხარდა არველოდი, — მაგ ფასად ახალ მანქანას ვიყიდი!“

ციტირებას აქ შევწყვეტთ. მკითხველს ალბათ ახსოვს რომანის ეს ადგილი. იმაშიც ვეთანხმებით კრიტიკას, რომ არველოდი ტაბაწყური უმიზეზოდ არ გაცხარებულა. ის ვერ ეგუება ავტოპროფილაქტორიუმის ზოგი მუშაკის თვითნებობას. იგი, როგორც ნაწარმოების დადებითი გმირი, ხმას იმაღლებს სპეკულაციის წინააღმდეგ. ის პასიურად როდი შესცქერის სინამდვილეს, არამედ იბრძვის მისი გარდაქმნისათვის, გაკეთილშობილებისათვის. იგი ცდილობს ყველგან ჯანსაღი ატმოსფერო დაამკვიდროს!

მაშ, რაშია საქმე?

მივაქციოთ ერთ მომენტს ყურადღება: არველოდი ტაბაწყურს ჰყავს მსუბუქი ავტომანქანა. ნუთუ ოდესმე დაფიქრებულა რომელიმე ჩვენგანი, საიდან, რა გზით შეიძინა მან მანქანა?

როგორც ნაწარმოებიდან ვიცით, ზნეობრივად სპეტაკი და პატიოსანი პერსონაჟი არველოდი მხოლოდ სუფთა ხელფასით ცხოვრობს. მაშ, როგორ შეძლო მან მანქანის შეძენა?



იქნებ ნაწარმოების ავტორმა უფრო ღრმად ჩამახედოს საქმის არსში-მეთქი და წერილი მივწერე. თუმცა მოგვიანებით, აი, რა პასუხი მივიღე:

„თქვენს შეკითხვაზე, თუ საიდან, რა გზით შეიძინა ჩემმა გმირმა მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული-06“ მარკის (სახ. ნომერი და სერია: ა-18-19 გა, ძრავის ნომერი 3376489301), გიპასუხებთ, რომ ტაბაწყური ჩემი ნაწარმოების გმირია ამა და ამ წლიდან, როგორც ყველა დადებით პერსონაჟს, მას მხოლოდ სუფთა ხელფასით ვაცხოვრებდი. როცა მომმართა თხოვნით მანქანის გამოყვანის თაობაზე, მე გავიკვირვე, — რა სახსრებით იძენ მანქანას-მეთქი? — ხელფასის დანაზოგიდანო! ამის მერე რა უფლება მქონდა, დამეკავებინა მისთვის მანქანა?! თუ ხალხის საყვარელ გმირს არ დავეხმარე, რაღად ვიღებ ხელში კალამს?!“.

ეტყობა, ჩვენმა შეკითხვამ პატივცემული ავტორი ცოტათი გააღიზიანა. ეს ჩანს პასუხის ტონიდან. თვითონაც დაეჭვებულა რაღაცებში, თუმცა ეს ნაწარმოებში არა ჩანს, არადა, ვალდებული იყო იგი, მკითხველიც ჰყოლოდა საქმის კურსში და ის შეკითხვა, რაც მან თავის სამწერლო ლაბორატორიაში დაუსვა გმირს, მკითხველის თვალწინ დაესვა. მაშინ ბევრ რამეს აეხდებოდა ფარდა!..

ჩვენთვის საეჭვო რჩება, რა გზით იშოვა ნაწარმოების მთავარმა მოქმედმა გმირმა მანქანის გამოსაყვანი ფული?..

დღეს, გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის ხანაში, როდესაც ასე ერთხმად იმაღლებს საზოგადოება ხმას ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ასე ებრძვის უშრომელ შემოსავალს, ავტორი ვალდებულია იცოდეს. რა სახსრებით ცხოვრობს თავისი გმირი, მით უმეტეს, თუ ის დადებითია!

ნომადი ბართაია

რას არ ნახავს კაცის თვალი ანუ ახალი ტიპის ხელმძღვანელი

ეს სურათი, ვფიცავ გამჩენს, ახალია, არა ძველი:
თვითონ ვნახე ჩემი თვალით მე ასეთი ხელმძღვანელი!
თმები ყალყზე დამიდგა და შემელახა გრძნობა წრფელი,
აღარა ვარ მსგავსი რამის სიზმარშიაც დამნახველი!
სავარძელში იჯდა ერთში, მეორეში ეწყო ფეხნი,
სჯობდა ეს არ მენახა და დამცემოდა თავზე მეხი!
მივდექ-მოვდექ, გავიკითხე, თუ რა ფასის ედგა კეხი.
მიპასუხეს: კაციაო წურბელა და ფრიად მკვეხი,
უქნარა და უზრუნველი, ლიქნის მონა, თან უკმეხი!
არ მინახავს ჯერ ამგვარი საქმის მართვის ფეხა და ნირი.
ვით იაზრა ასეთი რამ? — ეს კი არის გასაკვირი!
ვფიქრობ და ვერ გამიგია, ახლა თვითონ მწვავს სირცხვილი!
ძველი ობივატელია თუ გარდაქმნის ლვიძლი შვილი?

შალვა გულუა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



№ 242
4.V 1990

უსიტყვოდ

გარდაბნის რაიონის დიატომის ქარხნის დირექტორს თემურ თოთიბაძეს

პატივცემულო თემურ! რამდენჯერმე ვიყავით თქვენთან სამსახურში, მაგრამ რატომღაც ვერ განახეთ, ამიტომ ღია ბარათს გწერთ!

თქვენზე დადის ხმები, თითქოს მოქალაქეებს სესხის სახით გამოართვით და აღარ დაუბრუნეთ დიდძალი თანხა და, არა მარტო ხმები დადის, არამედ ოფიციალურადაც გიჩივიან! რადგან ენას ძვალი არა აქვს, რასაც უნდა იმას იტყვის, ასე რომ, იმ მოქალაქეთა საჩივრების სამართლიანობას სათანადო ორგანოები გაარკვევენ, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა გკითხოთ:

როგორ მოხდა, რომ სხვადასხვა რანგის ადამიანები, თითქოს პირი შეკრესო, ერთდროულად გიჩივიან და ყველა საჩივარი ერთი შინაარსისაა? (ალბათ, გამოძიება რომ თავის საქმეს მორჩება, თქვენ პასუხს აგებინებთ ცილისმწამებლებს, სახელს რომ გიტეხენ თანამდებობის პირს!).

თორმეტი თანამდებობა და ამდენივე სამუშაო ადგილი გაქვთ დღემდე გამოცვლილი. მარნეულის რაიონში რომ მოღვაწეობდით რკინა-ბეტონის ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორად, რატომ წამოდით იქიდან? შემდეგ ერთხანს თბილისის რეზინების ქარხანაში მუშაობდით, რატომღაც იქაც არ გაჩერდით და ექვსი თვე უმუშევარი იყავით კომუნისტი კაცი! ამ პერიოდში რას აკეთებდით, ბატონო თემურ?

ბოლოს გადაწყვიტეთ, გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანში დიატომის ქარხნის დირექტორი გამხდარიყავით, მაგრამ თქვენს კანდიდატურაზე საქართველოს სსრ ადგილმრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ორჯერ შეიკავა თავი, მაგრამ მაინც გახდით საწარმოს თავკაცი!

ქარხნის სასადილო დაგიკეტავთ იმ მოტივით, რომ იქ ანტისანიტარია სუფევდა, რის გამოც, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მოიწვიეთ მუშა-მოსამსახურეთა კრება და მზარეულ-მებუფეტე მოხსენით სამუშაოდან! თვითონ თუ ესწრებოდა ამ კრებას? მას მერე რვა თვე გავიდა. რატომ აღარ მოიყვანეთ სასადილო დღემდე წესრიგში? ახლა ის მზარეულ-მებუფეტეც გიჩივით — რაღაც ახალი დანადგარების შესაძენად ფული მთხოვა, არ მივეცი და იმიტომ გადამემტერაო!..

როგორაა თქვენს ქარხანაში ქართული ენის შესწავლისა და დამკვიდრების საქმე? ამ მხრივ აკეთებთ რამეს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ რამდენჯერაც მოვედით თქვენთან, ქართულად არავინ გამოგვლაპარაკებია! რაშია საქმე?

პირადად თქვენს საქმეს თბილისის ვაკის რაიონის საგამომძიებლო ორგანოები იკვლევენ! როგორ დამთავრდება ეგ საქმე, თუ კაცი ხარ, შეგვატყობინე, თორემ ჩვენც აგვიკლეს მომჩივნებმა!..

ღმერთმა ქნას, ყველაფერში მართალი იყოთ, პატივცემულო თემურ!

ვანო ციცაძე
გიორგი მინდიკაური

ძალად იუბილარი

კაცი კაცითაო! — კარგი ნათქვამია!
ამის პირველმთქმელი ღმერთმა აშენოს!
ჰოდა, ხალხნო, ორმოცდაათი რომ შემისრულდა,
იუბილე რომ გმართებთ, მე უნდა შეგახსენოთ?
აქამდე ვიყავ, ძვირფასებო, ჩუმად,
ახლა კი... ამაზე ვფიქრობდი მთელ ღამეს წუხელ,
მე დავწერ განცხადებას, თქვენ ხელი მოაწერეთ,
დანარჩენს მე მოვუვლი, თქვენ აღარ შეგაწუხებთ!
მე დავწერ ყველაფერს, თუ ამ ოცდაათ წელს,
რას ვაკეთებდი, ვინ ვიყავ და რა ვიყავ!
ოცდაათი წელი? არ მეკუთვნის იუბილე?
თუნდა ამ სკამზე, და-ძმებო, სულ უქმად ვმჯდარიყავ!
საღამოს ორგანიზაციასაც მე ვიკისრებ,
მომხსენებელსაც, გპირდებით, ტექსტს მე შევუდგენ, —
ვინ უნდა მომესალმოს სიტყვით და ვინ — ლექსით,
ვინ უნდა მომართვას წითელყდიანი ადრესი,
ამაზე ზრუნვასაც ხომ მე უნდა შევუდგე?
ერთი სიტყვით, ყველაფერს მე მოვაგვარებ,
თქვენ მარტო პურ-მარილზე ზრუნვას დაგიტოვებთ,
როცა თქვენ ორმოცდაათს უკან მოიტოვებთ,
ჩემგანაც მოითხოვეთ!

—:—:—

მართლა ბრმა-ყრუები ხომ არ ვართ, რომ ვერ გაგვეგო,
დავძაბეთ ძალები, რაც კი მოგვენახებოდა
და ისეთი საიუბილეო საღამო გავმართეთ,
ავ თვალს არ ენახვებოდა!

—:—:—

იმ საიუბილეო საღამოზე დამსწრეთა აზრი:
თუ დღე აღზევების მისის, თუ დღე ქებათა ქების მისის
მართლაც ასე დიდებულად ჩატარდა, თქვენი ჭირიმე,
ორგანიზატორი მისი ყოფილა იუბილეს ღირსი!

ლალი მარტაშვილი

ოკეკ-ამოკეკი

მგელი და მელა

მგელი ერთი წარმოების ხელმძღვანელად მოხვდა. კაბინეტში შესვლისთანავე იფიქრა: უკვდავი არავინ არაა, რასაც შეეკამ, ის შემრჩებაო! საწყობში მელა დაყენა და უთხრა: აბა შენ იცი, მოხერხებული ხარ, შენც ჭამე და მეც მაჭამეო! გაუხარდა მელას და მიბყო ქურდობას ხელი. თვის ბოლოს მელას დაუძახა მგელმა და იმდენი მოსთხოვა, რომ ნაპარავზე ხელფასის დამატება დახჭირდა. მომდევნო თვეში მელამ ქურდობას უმატა, მაგრამ მგელსაც მადა ეზრდებოდა, ახე რომ, მელას ნაპარავზე სულ თავისი ხელფასის დამატება ხჭირდებოდა, მოვიდა მგელთან და უთხრა:

— ავად ვარ, საავადმყოფოში ხანგრძლივად წოლა მჭირდება და, ჩემს მაგივრად, ვინმე მოიყვანე საწყობში!

— რა მოგვიდა?!

— კუჭი უნდა ამოვიჭრა მთლიანად!

— რატომ?!

— იმიტომ, რომ ნაპარავიც შენ მიგაქვს, და ხელფასიც და კუჭი რად მინდა?!

მელა ფიქრობდა, მგელს შეიძლება შეეშინდეს ან შერცხვეს, შემოიცოდოს და ხელფასი დამატოვოსო, მაგრამ მგელს, პირიქით, გაუხარდა, მის შემდეგ ხელფასზე გული არ დამწყდებაო, და მელას უთხრა: რაც შეიძლება მალე მორჩი მაგ საქმეს, ხაწყობში შენს მოსვლამდე არავის შევუშვებო!

რაღა უნდა ექნა მელას, წავიდა საავადმყოფოში, მაგრამ ჯანმრთელად სცნეს და ოპერაციაზე უარი უთხრეს. ჰკითხეს, რატომ სჩადიოდა ამ საქმეს, და რაკი გაიგეს მიზეზი, აცნობეს სათანადო ორგანოებს. მგელი დააპატიმრეს. სასამართლო პროცესზე მელა მლიქვნელურად ტიროდა: მე რა დავაშავეო?!

წერო და მერცხალი

წერო და მერცხალი თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ. უცხო ხეხარეში წერო აღტაცებაში მოვიდა, თავბრუ დაეხვა, სამშობლო, თავისიანები დაივიწყა. მერცხალს კი სულ სამშობლო ახსოვდა, გული მშობლიური მხარისაკენ მიუწევდა, სადაც დაიბადა, წამოიჩიტა; მუდამ თვალწინ ედგა სამშობლოს მთები და მდინარეები, მის ლაჟვარდში განავარდება ენატრებოდა.

წერო სხვა ქვეყნის ფრინველთა მონა-მორჩილად იქცა. დარჩენა სთხოვეს და ისიც დათანხმდა. ეს რომ მერცხალმა შეიტყო, ეწყინა. შეეცადა, წეროსათვის გადაწყვეტილება გადაეთქმევინებინა, მაგრამ ვერაფერი შეახმინა.

მერცხალსაც შესთავაზეს სხვა ქვეყნის ფრინველებმა დარჩენა, მაგრამ უარი თქვა: კარგები ხართ, მაგრამ სამშობლოს ვერაფერში ვერ გავცვლი და იქ უნდა დავბრუნდეო!

წერო უცხო ქვეყანაში დარჩა. გავიდა ხანი და სტუმარი აითვალწუნეს, არავინ მეზობლობდა, ყველა ალმაცერად უყურებდა, გაგონეს კიდეც: საკუთარი სამშობლო დაივიწყა და ჩვენ რა ხეირს დაგვაყრიისო?!

მიხვდა წერო თავის შეცდომას, მაგრამ რაღას იზამდა, ზამთარმა მოუსწრო. დარდისგან ჩამოხმა საცოდავი. ასეთ დღეში ნახა მერცხალმა, როცა მომდევნო წელს კვლავ თბილ ქვეყანას ესტუმრა. შეეცოდა წერო და სამშობლოში წამოიყვანა. მერცხალი სამშობლოს მთებმა, ბუნებამ სიხარულით მიიღო. ხე, ბუჩქი, წყარო, მდინარე თუ მთები ყველა ერთხმად ესალმებოდა, ეძახდა, ჩვენთან მობრძანდი, ჩვენთან მობრძანდიო!

წერო კი თითქოს ვერც შეამჩნიეს. რომელ ქუჩაზეც ჩამოჯდა, გადაბრუნდა, მთას მიაშურა და იგი ბარად იქცა, წყლის დალევა ეოიხურვა და წყალი დაუშრა. ერთი სიტყვით, მშობლიურმა გარემომ შეიძულა, აღარ მიიღო, იჯავრა, იჯავრა და მალე სულიც განუტევა.

ვლადიმერ გოგიბერიძე





КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურ-ფილოსოფიური ჟურნალი „ნიანგი" № 8 (1810). აპრილი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლძაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბარათაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამხონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 2. 03. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 04. 90 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ. № 791. უე 07934. ტირაჟი 125.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, გახუოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187